(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

ლიმიტირებული მიზნობრივი სამარჯო ანგარიშის ხელშეკრულება

ძალაში შესვლის თარიღი: 2019 წლის 23 აგვისტო

ლიმიტირებული მიზნობრივი სამარჯო ანგარიშის ხელშეკრულების (LPMA) გამოყენებით თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით და გაიგეთ „DriveWealth-ის LPMA ხელშეკრულება“ და „შიდადღიური ვაჭრობის რისკის გამჟღავნება“. თქვენს LPMA-ზე განხორციელებულ ყველა ტრანზაქციაზე ვრცელდება DriveWealth-ის მომხმარებლის ანგარიშის ხელშეკრულების ყველა პირობა და თქვენსა და ჩვენს შორის წერილობით დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების პირობები, მათი შესწორებების ჩათვლით.

1. თქვენ ათვითცნობიერებთ, რომ თქვენი ანგარიში DriveWealth-თან შეიქმნება როგორც LPMA. ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენს LPMA-ს არა აქვს ყველა ის ფუნქცია, რასაც ტიპური სამარჯო ანგარიში შემოგთავაზებდათ; კერძოდ, თქვენზე არ გავრცელდება კრედიტის რაიმე გახანგრძლივება. არანაირი სესხი არ გაიცემა თქვენს LPMA-ზე რადგან ყველა ტრანზაქცია თქვენს ანგარიშზე სრულად იქნება ანგარიშსწორებამდე წინასწარ გადახდილი.

2. LPMA-ს ერთადერთი მიზანი არის, შესაძლებლობა მოგცეთ, წარადგინოთ შესყიდვის გარიგება DriveWealth-ზე თქვენი ანგარიშის დაფინანსებამდე. LPMA-ის შექმნით თქვენ იძენთ მოქნილობას, წარადგინოთ შესყიდვის გარიგება დღეს და გადააგზავნოთ ასეთი გარიგების თანხა ანგარიშსწორების თარიღზე („გადახდის ფუნქცია“).

3. თქვენ თანხმობას გამოთქვამთ, რომ პასუხისმგებელი ხართ, სრულად გადაიხადოთ თანხა ყველა ტრანზაქციისთვის თქვენს LPMA-ზე ანგარიშსწორების თარიღზე. თუ თქვენ არ გადააგზავნით სრულ თანხას ანგარიშსწორების თარიღზე, DriveWealth-ი იტოვებს უფლებას, უარი გითხრათ თქვენი ტრანზაქციის დაფარვაზე და შეაჩეროს გადახდის ფუნქცია თქვენს LPMA-ზე.

4. თქვენ ათვითცნობიერებთ, რომ გადახდის ფუნქცია გამოიყენება მხოლოდ შესყიდვის გარიგებისთვის. თქვენთვის გამოსატანად ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ თქვენს LPMA-ზე გადახდილი თანხები (ანუ, თავისუფალი კრედიტები, მათ შორის ნაღდი ფული, დივიდენდები და კორპორატიული გარიგებები). ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ წარადგენთ გაყიდვის გარიგებას, ასეთი გაყიდვის გარიგებიდან მიღებულ შემოსავალს ვერ გამოიტანთ მანამ, სანამ გარიგება არ იქნება გადახდილი.

5. LPMA-ს შექმნით თქვენ ათვითცნობიერებთ, რომ თქვენზე ვრცელდება FINRA-ს „განმეორებადი შიდადღიური ვაჭრობის წესები” [Pattern Day Trading Rules].

შიდადღიური ვაჭრობა ნიშნავს ერთსა და იმავე დღეს ერთი და იგივე ფასიანი ქაღალდის ყიდვასა და გაყიდვას. შიდადღიური ვაჭრობა აჩენს დამატებით რისკებს. გთხოვთ, დამატებითი დეტალებისთვის იხილოთ ჩვენი „შიდადღიური ვაჭრობის გამჟღავნების განაცხადი“. თქვენ ასევე გამოთქვამთ თანხმობას, რომ არ ჩაერთვებით განმეორებად შიდადღიურ ვაჭრობაში თქვენს LPMA-ზე. თუ თქვენ ჩაერთვებით განმეორებად შიდადღიურ ვაჭრობაში, ჩვენ უფლებამოსილი ვართ დავხუროთ თქვენი LPMA.

6. თუ გსურთ მიიღოთ სხვა ფუნქციები, როგორიცაა კრედიტის გამოყენებით შესყიდვის შესაძლებლობა, თქვენ უნდა გააფორმოთ ახალი სამარჟო ანგარიშის ხელშეკრულება DriveWealth-თან, რომელიც მოიცავს დამატებით პირობებს, მათ შორის, და არა მარტო, სასესხო DriveWealth-ის ოპერაციებში სიმართლის ასახვის განაცხადს.

შიდადღიური ვაჭრობის რისკის საჯაროობა

DriveWealth-ი არ ახდენს ისეთი ოპერაციის პოპულარიზაციას, არც პირდაპირ და არც ირიბად, რასაც შიდადღიური ვაჭრობა ეწოდება. შიდადღიური ვაჭრობა ნიშნავს ერთსა და იმავე დღეს ერთი და იგივე ფასიანი ქაღალდის ყიდვასა და გაყიდვას. FINRA-ს „განმეორებადი შიდადღიური ვაჭრობის წესების” [Pattern Day Trading Rules] განსაზღვრებით განმეორებადი შიდადღიური ვაჭრობა ნიშნავს, როდესაც მომხმარებელი სამარჟო ანგარიშით ახორციელებს შიდადღიურ ვაჭრობას 4-ჯერ ან მეტჯერ 5 სამუშაო დღის განმავლობაში, ოღონდ იმ პირობით, რომ შიდადღიური ვაჭრობების რაოდენობა იმავე ხუთდღიან პერიოდში მომხმარებლის მთლიანი სავაჭრო აქტივობის 6%-ს აღემატება. შიდადღიური ვაჭრობა ძალიან სარისკოა და არ არის შესაფერისი ისეთი მომხმარებლებისათვის, ვისაც ლიმიტირებული რესურსები, ლიმიტირებული ინვესტიციები, მცირე სავაჭრო გამოცდილება ანდა რისკისადმი დაბალი ტოლერანტობა აქვს.

- **შიდადღიური ვაჭრობა ძალიან სარისკოა.** შიდადღიური ვაჭრობა, როგორც წესი, არ არის შესაფერისი სტრატეგია ისეთი ადამიანისთვის, ვისაც ლიმიტირებული რესურსები და ინვესტიციები აქვს ანდა მცირე სავაჭრო გამოცდილება და რისკისადმი დაბალი ტოლერანტობა აქვს. თქვენ მზად უნდა იყოთ, რომ შეიძლება მთელი ის თანხა დაკარგოთ, რასაც შიდადღიური ვაჭრობისთვის იყენებთ. კერძოდ, შიდადღიური ვაჭრობისთვის არ უნდა გამოიყენოთ საპენსიო დანაზოგები, სტუდენტური სესხები, მეორე გირაო, საგანგებო მდგომარეობისთვის გადადებული თანხები, ისეთი მიზნებისთვის გადადებული თანხები, როგორებიცაა განათლება ანდა სახლის ფლობა, ანდა თანხები, რომლებიც საჭიროა ყოფითი ხარჯების დასაფარად. გარდა ამისა, გარკვეული მონაცემები მიუთითებს, რომ 50,000 აშშ დოლარზე ნაკლები ინვესტიცია მნიშვნელოვნად ზღუდავს შიდადღიური ტრეიდერის შესაძლებლობას, მიიღოს მოგება. რა თქმა უნდა 50,000 აშშ დოლარის და მეტის ინვესტიცია არ არის წარმატების გარანტია.

- **სიფრთხილით მოეკიდეთ განცხადებებს შიდადღიური ვაჭრობიდან მსხვილი მოგების მიღების შესახებ.** ასევე უფრთხილდით რეკლამებს ან სხვა განცხადებებს, რომლებშიც ხაზგასმულია შიდადღიური ვაჭრობიდან მსხვილი მოგების მიღების პოტენციალი. შიდადღიურმა ვაჭრობამ შეიძლება ასევე დიდი და მყისიერი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს.

- **შიდადღიური ვაჭრობა საჭიროებს ფასიანი ქაღალდების ბაზრების ცოდნას.** შიდადღიური ვაჭრობა საჭიროებს ფასიანი ქაღალდების ბაზრების და ვაჭრობის ტექნიკისა და სტრატეგიების სიღრმისეულ ცოდნას. შიდადღიური ვაჭრობის გზით მოგების მიღების მცდელობისას თქვენ კონკურენცია უნდა გაუწიოთ პროფესიონალ, ლიცენზირებულ ტრეიდერებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ფირმებს ჰყავთ დაქირავებული. შიდადღიურ ვაჭრობაში ჩართვამდე თქვენ შესაბამისი გამოცდილება უნდა გქონდეთ.

- **შიდადღიური ვაჭრობა მოითხოვს ფირმის ოპერაციების ცოდნას.** თქვენ კარგად უნდა იცნობდეთ ფასიანი ქაღალდების ფირმის ბიზნეს პრაქტიკას, მათ შორის ამ ფირმის შეკვეთის შესრულების სისტემებსა და პროცედურებს. გარკვეულ საბაზრო პირობებში თქვენ შეიძლება გაგიჭირდეთ ან ვერ შეძლოთ პოზიციის სწრაფად ლიკვიდირება სათანადო ფასით. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, მაგალითად, როდესაც რომელიმე კონკრეტული აქციის ფასი ბაზარზე მოულოდნელად ეცემა, ანდა ვაჭრობა ჩერდება რაიმე ახალი მოვლენის ანდა უჩვეულო სავაჭრო აქტივობის გამო. რაც უფრო მერყევია აქცია, მით უფრო დიდია ტრანზაქციის შესრულებაში პრობლემების წარმოქმნის ალბათობა. ჩვეულებრივი საბაზრო რისკების გარდა შესაძლოა განიცადოთ დანაკარგები სისტემის გაუმართაობის გამო.

- **შიდადღიური ვაჭრობა წარმოშობს მნიშვნელოვან საკომისიო ხარჯებს მაშინაც კი, როდესაც ერთი ვაჭრობის ფასი მცირეა.** შიდადღიური ვაჭრობა აქტიურ ვაჭრობას მოიცავს და თქვენ, ჩვეულებრივ, ყოველ ვაჭრობაზე მოგიწევთ საკომისიოს გადახდა. მთლიანი დღიური საკომისიო, რომელსაც თქვენს ვაჭრობებზე იხდით, დაემატება თქვენს დანაკარგებს ან მნიშვნელოვნად შეამცირებს თქვენს შემოსავალ. მაგალითად, თუ ერთი ვაჭრობა 16 აშშ დოლარი ღირს, ხოლო ერთ დღეს საშუალოდ 29 ტრანზაქცია ხორციელდება, ინვესტორს სჭირდება 111,360 აშშ დოლარის წლიური მოგება, რომ საკომისიო ხარჯები დაფაროს.

- **შიდადღიური ვაჭრობა მარჟით შეიძლება დასრულდეს დანაკარგებით, რომელიც აღემატება თქვენს საწყის ინვესტიციას.** როდესაც თქვენ ახორციელებთ შიდადღიურ ვაჭრობას ფირმისგან ან ვინმე სხვისგან ნასესხები თანხით, თქვენ შეიძლება დაკარგოთ იმაზე მეტი, ვიდრე თავდაპირველად გარისკეთ. შესყიდული ფასიანი ქაღალდების ღირებულების შემცირებამ შეიძლება თქვენგან მოითხოვოს დამატებითი თანხების უზრუნველყოფა ფირმისთვის, რათა თავიდან აიცილოთ იმ ფასიანი ქაღალდების ან თქვენს ანგარიშზე არსებული სხვა ფასიანი ქაღალდების იძულებითი გაყიდვა.

- **პოტენციური სარეგისტრაციო მოთხოვნები.** პირები, რომლებიც საინვესტიციო რჩევებს აძლევენ სხვებს ანდა მართავენ სხვების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს, უნდა დარეგისტრირდნენ როგორც „საინვესტიციო მრჩეველი“ 1940 წლის კანონის „საინვესტიციო მრჩევლის შესახებ“ შესაბამისად, ანდა როგორც „ბროკერი“ ან „დილერი“ 1934 წლის კანონის „ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის შესახებ“ შესაბამისად. ასეთმა საქმიანობამ შესაძლოა საჭირო გახადოს ასევე სახელმწიფო რეგისტრაციის მოთხოვნების შესრულება.

თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით და გაათვითცნობიერეთ „შიდადღიური ვაჭრობის რისკის გამჟღავნების განაცხადი“.